საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2076-02
25/07/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე **ინგლისური ენის მასწავლებლის** თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-9 პუნქტების, მე-6 პუნქტის,მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გ. გვალიას 2018 წლის 24 ივლისის N13017-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2018 წლის 25 ივლისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე **ინგლისური ენის მასწავლებლის 110 ვაკანტურ თანამდებობაზე.**

2.კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) რეზიუმე (CV), რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ინფორმაცია და მოიცავს შესაბამისი საბუთების ასლებს;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი 3X4;

დ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის/დიპლომების ასლები ;

ე) ინგლისური ენის კომპეტენციასთან და სწავლების უნართან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი საერთაშორისო სერტიფიკატები;

ვ) ორი რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, დაადასტურებენ კანდიდატის შესაბამის კომპეტენციას და სწავლების გამოცდილებას.

ზ) ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე, რომელიც დასტურდება ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატით - CAE/BEC Higher; FCE/BEC Vantage; ILEC; IELTS; TOEFL;

თ) ინგლისური ენის სწავლების საერთაშორისო მეთოდური სერტიფიკატი (Cambridge English Language for Teaching, CELTA, TKT (Intermediate), DELTA/Pre-DELTA, Cambridge English Train the Trainer, IH Teacher Training Certificate, LCCI Cert TEB, CELT I, II);

ი) ინგლისური ენის სწავლების, სულ მცირე, ერთწლიანი გამოცდილება;

4. კონკურსში მონაწილე კონკურსანტს სასურველია ჰქონდეს:

ა) უმაღლესი განათლება ინგლისური ენის სპეციალობით;

ბ) ინგლისური ენის სწავლების გამოცდილება უმაღლესი განათლების სექტორში;

გ) თანამედროვე, კომუნიკაციური სწავლების მეთოდების ცოდნა და მათი გამოყენების უნარი;

დ) გავლილი ინგლისური ენის სწავლებაში გადამზადების მინიმუმ ერთი საერთაშორისო კურსი.

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint) გამოყენების უნარი.

5. კონკურსანტს უნდა ჰქონდეს შემდეგი პიროვნული თვისებები:

ა) გუნდური მუშაობის უნარი;

ბ) გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
გ) თვითრეფლექსიისა და ანალიზის უნარი;
დ) ეფექტური კომუნიკაციის (მოსმენისა და ინფორმაციის გადაცემის) უნარი.
6. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს 2018 წლის 25 ივლისიდან 2018 წლის 6 აგვისტოს ჩათვლით.
7. საკონკურსო საბუთები უნდა იყოს გადაგზავნილი ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე: englishcourses@iliauni.edu.ge, მეილის საგნის ველში კონკურსანტმა უნდა მიუთითოს პოზიციის დასახელება - ინგლისური ენის მასწავლებელი.
8. კონკურსი წარიმართება ორ ეტაპად:
ა) წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა;
ბ) გასაუბრება - კონკურსანტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან პირველ ეტაპს, გაივლიან გასაუბრებას შესაბამის კომისიასთან.
გ) კონკურსის პირველ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატებს ინფორმაცია ეცნობებათ ინდივიდუალურად ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სადაც მითითებული იქნება გასაუბრების ადგილი და თარიღი.
დ) გასაუბრების სავარაუდო თარიღია 2018 წლის 8-15 აგვისტო.
9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2018 წლის 20 აგვისტოს.
10.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
11. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს ინფორმაცია განათავსოს ვებ გვერდ jobs.ge-ზე.
12.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი